

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის  
სააგენტოს დირექტორის

ბრძანება №05  
2020 წლის 6 აპრილი

ქ. ბათუმი

ახალი კორონავირუსი COVID 19-ის გავრცელებასთან დაკავშირებით საქართველოს მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების სფეროში განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის და 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის, „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი და მე-5 მუხლების, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის 2020 წლის 17 მარტის No.4204/Add.5 ცირკულარის „კორონავირუსი (COVID-19) – სახელმძღვანელო მეზღვაურთა სერტიფიცირების სფეროში“ და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 14 აპრილის №1-1/585 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

**მუხლი 1**

დამტკიცდეს თანდართული „ახალი კორონავირუსი COVID 19-ის გავრცელებასთან დაკავშირებით საქართველოს მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების სფეროში განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიება.“.

**მუხლი 2**

ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 12 მარტის ბრძანება №01 „მეზღვაურთა სერტიფიცირების სფეროში COVID 19-თან დაკავშირებით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“.

**მუხლი 3**

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის  
სააგენტოს დირექტორი

თამარ იოსელიანი

ახალი კორონავირუსი COVID 19-ის გავრცელებასთან დაკავშირებით საქართველოს მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების სფეროში განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

**მუხლი 1. მიზანი**

1. ახალი კორონავირუსი COVID 19-ის გავრცელებასთან დაკავშირებით, საქართველოს მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების სფეროში, განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიების მიზანია მსოფლიოში ახალი კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით სააგენტომ მეზღვაურთა სერტიფიცირების სფეროში დააწესოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებებისგან გამონაკლისი.

2. ყველა მეზღვაურის საბუთი (კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატი/კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი/მეზღვაურის წიგნაკი), რომლის მოქმედების ვადაც იწურება 2020 წლის 1 სექტემბრამდე ავტომატურად იქნეს გაგრძელებული 6 თვით. აღნიშნული ვადის გაგრძელებით სარგებლობს ყველა სერტიფიკატის მქონე მეზღვაური სააგენტოზე ოფიციალურად მომართვის გარეშე.

3. ყველა გემზე მყოფი მეზღვაურის სამედიცინო მოწმობა, რომელიც გაცემულია და რომლის



მოქმედების ვადაც ამოიწურა 2020 წლის 1 იანვრის შემდეგ, ავტომატურად იქნეს გაგრძელებული 6 თვის ვადით. აღნიშნული ვადის გაგრძელებით სარგებლობს მეზღვაური სააგენტოზე ოფიციალურად მომართვის გარეშე.

4. მეზღვაურებს, რომელთა კომპეტენციის ან კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატების მოქმედების ვადა ეწურებათ იმ პერიოდის განმავლობაში, სანამ მოქმედებს COVID-19-თან დაკავშირებული შეზღუდვები და რომლებიც დარეგისტრირებულნი იყვნენ ან დარეგისტრირდებიან სერტიფიკატის განსაახლებლად საჭირო კურსებზე სააგენტოს მიერ აღიარებულ მეზღვაურთა საწვრთნელ ცენტრში, რომლის ჩატარებაც შეიზღუდა კორონა ვირუსის COVID-19 გამო, შეუძლიათ სერტიფიკატის განსაახლებლად გააკეთონ განაცხადი ჩვეულებისამებრ 2020 წლის 22 აპრილიდან. სააგენტო ყველა ასეთ მეზღვაურზე გასცემს შეაბამისი ვადიანობის სერტიფიკატებს, კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში. ასეთი უფლებით სარგებლობისთვის მეზღვაური ვალდებულია წარადგინოს მტკიცებულება, რომ იგი დარეგისტრირებულია შესაბამის საწვრთნელ ცენტრში, შესაბამის საწვრთნელ კურსზე. ადმინისტრაციული წერილი, რომელიც გაიცემა ყველა ასეთ სერტიფიკატზე დაადგენს ვალდებულებას, რომ მართვის/ექსპლუატაციის დონის მეზღვაური სერტიფიკატის გაცემიდან 6 თვის ვადაში, ხოლო რიგითი შემადგენლობა 9 თვის ვადაში, ვალდებულია გაიაროს შესაბამისი საწვრთნელი კურსი. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, წვრთნის გაუვლელი შემთხვევაში, გაცემული სერტიფიკატის მოქმედება შეჩერდება. საზღვაო უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, წინამდებარე პუნქტით დადგენილი პირობები არ ეხებათ იმ მეზღვაურებს, რომელთა სერტიფიკირებაც ხორციელდება შესაბამის თანამდებობაზე პირველად.

5. საჭიროების შემთხვევაში სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტს დაევალოს ამ მუხლიდან გამომდინარე საჭირო ცნობების გაცემა.

## **მუხლი 2. შეტყობინება საერთაშორისო ორგანიზაციებს**

წინამდებარე ბრძანება საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) წევრ სახელმწიფოებში დაიგზავნოს IMO-ს სამდივნოს მეშვეობით.

